



დოკუმენტის დამტკიცების ნომერი და
ბრძანების თარიღი: 29.12.2018 წელი,
ბრძანება №135

ევროპის უნივერსიტეტის
ლაბორატორია EU LAB-ის
დებულება

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი	3
მუხლი 2. ლაბორატორიის მიზნები.....	3
მუხლი 3. ლაბორატორიის ამოცანები.....	3
მუხლი 4. ლაბორატორიის ხელმძღვანელი.....	4
მუხლი 5. სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულ პირთა უფლებამოსილება.....	5
მუხლი 6. დასკვნითი დებულებები.....	5





მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. ევროპის უნივერსიტეტის ლაბორატორია EU LAB (შემდგომში - „ლაბორატორია“) წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

1.2. ლაბორატორიის საერთო პოლიტიკას და ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს ფაკულტეტი.

1.3. ლაბორატორია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

1.4. ლაბორატორიის მისამართია: თბილისი, გურამიშვილის ქ. №76. ევროპის უნივერსიტეტი.

მუხლი 2. ლაბორატორიის მიზნები

ლაბორატორიის მიზნებია:

- ა) დაეხმაროს სტუდენტებს ტექნოლოგიების კუთხით ცოდნის გაღრმავებაში;
- ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტების პრაქტიკული უნარების დახვეწას;
- გ) შეუქმნას სტუდენტებს სამუშაო სივრცე თავიანთი იდეების განსახორციელებლად;
- დ) მოიძიოს ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზარზე ტექნოლოგიების სფეროში პროექტები, რომელთა განხორციელებაშიც ძირითადად ჩართული იქნებიან ევროპის უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალობის სტუდენტები;
- ე) კავშირი იქონიოს პოტენციურ დამსაქმებლებთან და მოახდინოს მათი მოთხოვნებზე შესაბამისი რეაგირება;
- ვ) ჩაერთოს უნივერსიტეტში არსებულ ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და დახვეწის პროცესში.

მუხლი 3. ლაბორატორიის ამოცანები

ლაბორატორიის ამოცანებია:

- ა) ხელი შეუწყოს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს (ლექტორებს, ადმინისტრაციულ პერსონალს) საკუთარი პროექტის რეალიზაციის პროცესში ტექნოლოგიური მხარდაჭერით;
- ბ) უზრუნველყოს სტუდენტების იდეის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, ვებ გვერდის ან მობილური აპლიკაციის აგება;
- გ) დაეხმაროს სტუდენტებს საკუთარი იდეების სტარტაპირებაში;



- დ) განსაზღვროს სტუდენტების მიერ პროექტის ფარგლებში გამოყენებული ტექნოლოგიების შესაბამისობა პროექტში დასმულ ამოცანებთან;
- ე) უზრუნველყოს სტუდენტების მიერ შემუშავებული პროექტების ფარგლებში გამოყენებული ტექნოლოგიების უსაფრთხოება, კონფიდენციალურობა;
- ვ) უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში დანერგილი სისტემის უწყვეტი მუშაობა;
- ზ) უზრუნველყოს უნივერსიტეტში არსებული პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული პროდუქტის აგება, ვებ გვერდების აგება, მობილური აპლიკაციების აგება);
- თ) გაუწიოს კონსულტაციები უნივერსიტეტის პერსონალს ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების საკითხებში;
- ი) უზრუნველყოს ინფორმატიკის თანამედროვე გამოწვევების და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის კუთხით შეხვედრების ორგანიზება;
- კ) აწარმოოს საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება ინფორმატიკის მიმართულების სტუდენტებთან;
- ლ) მოიწვიოს ტექნოლოგიების სფეროში გამოცდილი ადამიანები და უზრუნველყოს ღია ლექციების ჩატარება;
- მ) ჩაერთოს უნივერსიტეტში არსებული მართვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვასა და სრულყოფაში;
- ნ) მოიძიოს პროექტები საზღვარგარეთის ან ადგილობრივი ბაზრიდან და მოახდინოს მისი აგება, რეალიზაცია.

მუხლი 4. ლაბორატორიის ხელმძღვანელი

4.1. ლაბორატორიის საქმიანობას ხელმძღვანელობს ლაბორატორიის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

4.2. ლაბორატორიის უფროსის ფუნქციებია:

- ა) ლაბორატორიის ხელმძღვანელობა და მართვა;
- ბ) უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება;
- გ) უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ათვისების მიზნით თანამშრომლობა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან/თანამდებობის პირებთან;
- დ) ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მოკლევადიანი ტრენინგ კურსების დაგეგმვა და ჩატარების ორგანიზება;
- ე) შესაბამისი დარგის სპეციალისტების/ტრენერების მოწვევა აიტი პროექტების განვითარების მიზნით;



ვ) თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 5. სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულ პირთა უფლებამოსილება

სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირი უფლებამოსილია:

- ა) მოითხოვოს მისი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, საინფორმაციო რესურსი და ინვენტარი.
- ბ) მოითხოვოს ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული ფუნქციის შესრულების მიზნით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

- 6.1. წინამდებარე დებულებაში მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;
- 6.2. წინამდებარე დებულებაში ცვლლებების, დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.